ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1615715

ნომერი: AR1268203

თარიღი : 24.11.2014

გაცემის თარიღი : 27.11.2014

გაცნობის თარიღი : 01.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N71 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N71 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ჩიქობავა პ/ნ 01030051627
- თბილისი გ.ჩიტაიას ქ. N 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი- ისანი, ქ.წამებულის გამზირი #71–ში, შ.პ.ს. „მერილიონი“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #005/025), კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე I კლასის ღობის მშენებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – N 882014350599 07/07/2014წ. საკადასტრო კოდი N 01.17.12.005.025; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – N 882014350610 09/07/2014წ. საკადასტრო კოდი N 01.17.12.005.024; არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული №1606552 21.11.2014წ. გადაწყვეტილება; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი- ისანი, ქ.წამებულის გამზირი #71–ში, შ.პ.ს. „მერილიონი“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #005/025), კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.

საპროექტო ღობე განთავსდეს (შპს „მერილიონი“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს. კ. N 01.17.12.005.024 და N 01.17.12.005.025) საკადასტრო საზღვრებში, მიწის ნაკვეთებზე არსებული სერვიტუტისგან თავისუფალ ადგილას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge